ოთხშაბათი, 3 სექტემბერი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 1 მან.

...ნომერი ყველგან 1 მანეთი. ...როგორც პირველ გვერდზე ... პეტიტის სტრიქონი—2 მან. ... განცხადებები 40 მანეთი. ... განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ხუთშაბათს, 4 სექტემბერს, ხიდისთავში (გურია) მიწას მიაბარებენ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულს

**გათო ანტონის ძე კალანდაძეს**

რასაც აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს დამწუხრებულნი მეუღლე ესმა, ქალიშვილი კასინე, სიძე ემელიანე, შვილიშვილი გერმ. და ვალენ ლომთათიძენი.

გულდათუთქული მეუღლე ოლია ბესარიონის ასული კაკაურიძისა, შვილები: შალვა, ნინა, მიტუშა და გუცა. მამა ივანე მარკოზის ძე კაკაურიძე, ძმები: ალინოზ, იპოლიტე, დომენტი და არქიპო, და ელენე, სიძე ვანო ადუაშვილი, რძლები: ჟენია და ლიზა, ძმისწულები: გიორგი, დულია, გრიშა და სხვები. აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი საქართველოს რესპ. სახაზინო რკ. გზის უფროსი კონდუქტორი.

**ნიკოლოზ ივანეს ძე კაკაურიძე**

გამოსვენება მოხდება დღეს 3 სექ. საღ. 7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 137 საიდანაც წაასვენებენ და დაკრძალავენ ს. სვიიში (1—1)

ახალი წიგნი—იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

**გალაკტიონ ტაბიძე:**

**ლექსები** ტომი მეორე (1914—1919)

მკითხველთ წიგნი გადაეგზავნება პროვინციაში. წიგნი უნდა მოითხოვონ შემდეგი მისამართით: თფილისი, გაზ. „ერთობა“.

წიგნის ფასი 25 მან

## სამუსლიმანო საქართველო

ჩვენ იმ თავიდანვე მოველოდით, რომ ბათომის ოლქის მცხოვრები ჩვენი მოძმენი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობას აირჩევდნენ.

თვით ოსმალეთის შემოსევა ბათომის ოლქში და მათი ბატონობის გემო—იყო მთავარი საბუთი იმის, რომ ხალხის მასსა, ისე, როგორც მისი ხელმძღვანელები საბოლოოთ დაადგებოდნენ ქართველ ქრისტიანებთან ძმობის გზას.

უნდა აღინიშნოს აქვე, რომ საუკეთესო შვილები სამუსლიმანო საქართველოში თვით ოსმალთა შემოსვლის მწვავე დღეებშიაც ამ აზრს ეღოღიავებოდნენ, საერთო საქართველოსთან დაკავშირებაზე ოცნებობდნენ, და დღეს მათს ოცნებას ფრთა ესხმება, სინამდვილის რეალობათ ხდება.

მთელი ბათომის ოლქის მცხოვრებნი, რომელნიც დღემდეც სულით და გულით დანარჩენ საქართველოს დემოკრატიასთან შეერთებაზე ფიქრობდნენ გულში, დღეს აშკარათ, ღიათ, ძალადაუტანებლათ აღიარებენ ამ თავის გულის ნადებს.

ჩვენ გვახსოვს ოსმალთა რეფერენდუმი ბათომის ოლქში, რომელიც ოსმალთა ხიშტების გავლენის ქვეშ იყო წარმოებული და რომლის შედეგები გამოხატავდა ამ ხიშტების აზრს და არა ხალხისას.

დღეს ბათომი, სადაც მუსლიმანთა კონფერენცია ხდება, არ უჭერია არც ქართველთა ჯარებს, არც ოსმალოებს. აქ დგას ნეიტრალური ძალა—ინგლისი და თუ სადმე შეიძლება ხალხის ნება-სურვილის გაგება სისწორით, სწორეთ ასეთ თითქო განგებ შექმნილ იდეალურ პირობებში.

ბათომის ოლქში დელეგატთა აზრის და მისწრაფების გაბათილება შეუძლებელია.

ეს აზრი კი ამბობს, რომ ბათომის ოლქის მცხოვრებლები—ქართველებია ტომით, წარმოშობით, მასთან დაკავშირებული ისტორიული კულტურით, ეკონომიური ცხოვრებით, ენით და საქართველოს განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს ისე კი, რომ მისი სარწმუნოებრივი თავისებურობა სავსებით დაცული იყოს.

სხვაგვარი დადგენილების გამოტანა შეუძლებელიც იყო.

პარიზის კონფერენციას, რომელზედაც სწყდება საბოლოოდ ბედი და საზღვრები ამიერ-კავკასიის ერთეულების, ყველაზე უდავოთ და უმტკივნეულოთ შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა. ბათომს და მის ოლქს არ ყავს არავინ მოდავე. ნება მათი მცხოვრებლებისა სავსებით უთანხმდება ისტორიულ და ეკონომიურ ინტერესებს ამ კუთხისას. მოდავე ამ მხარისა არც ერთი მეზობელი არაა, ოსმალეთის წინანდელი დაპყრობითი მიზნები თუ არ იქნება მხედველობაში მიღებული. ცხადია ბათომის ოლქის შემოერთება საქართველოზე—და ამით საქართველოს ჩაყენება თავის ბუნებრივ საზღვრებში, რომელშიაც მას შეძლება მიეცემა განვითარების და წარმატების—მახლობელ მომავლის საკითხია ცხადია ისიც, რომ ეს არის არა საკითხი ომის, დაპყრობის, სისხლის ღვრის, არამედ სამართლიანობის, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელების. ეს არის საკითხი უდავო და ყველა მეზობლებისაგან აღიარებული.

ჩვენ სულით და გულით ვულოცავთ აჭარა-ქობულეთის ქართველ მუსლიმანებს სწორ და საღ გამჭრიახეობის გამოჩენას.

ვულოცავთ საქართველოს დემოკრატიასაც ახალი მოძმის შემოერთების ამ მტკიცე ნაბიჯს.

დემოკრატიული საქართველო მიმზიდველი ხდება ყველა მისი მონათესავე ჯგუფებისთვის.

თავისუფლება და თანასწორობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ძირითად პრინციპად არის აღიარებული, იმედია მალე შეაშუქებს ამ ახალ კუთხეებშიაც. და გაერთიანებული საქართველო მდევის ნაბიჯით გასწევს წინ მშრომელთა ბედნიერ ქვეყნის შესაქმნელად და საერთო ძმობის დროშის პირნათლად სატარებლად.

## პოლკოვნიკ ჰასკელის სიტყვების გამო

პარიზის კონფერენციამ დაავალა ამერიკის წარმომადგენელს პოლკოვნიკ ჰასკელს ამიერ-კავკასიის საქმეების ადგილობრივ გამოკვლევა და მათი მოგვარება. პოლკოვნიკმა უკვე გამოსთქვა თავისი აზრი ორ სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა სომხეთის პარლამენტის და ადერბეიჯანის მთავრობის წინაშე. ორივე სიტყვა დიდათ საყურადღებოა, რადგან პოლკოვნიკ ჰასკელის პირველივე ნაბიჯი აშკარად ჰყოფს ამიერ კავკასიის დემოკრატიისათვის, რა გზით შეიძლება მოგვარდეს ამიერ-კავკასიის საქმეები, რა იმედები შეიძლება დავამყაროთ ძლიერ სახელმწიფოებზე და რა როლი უნდა ითამაშონ მათ ამიერ-კავკასიაში

სომხეთის პარლამენტის წინაშე პოლკოვნიკმა ჰასკელმა მთელი ბრალი სომხეთ-ადერბეიჯანს შორის სისხლის ღვრაში დასდო ადერბეიჯანს და სომხეთს კი სრული მფარველობა აღუთქვა. „ეჭვს გარეშეა ის გარემოება, სთქვა მან, რომ ადერბეიჯანმა დაარღვია ბრიტანეთის მთავრობის მიერ დადებული საზღვრები“. ორატორმა აღუთქვა სომხეთის პარლამენტს, რომ იგი წავა ადერბეიჯანში და მის მთავრობისაგან გადაჭრით მოითხოვს დაუყონებლივ შეაჩეროს სისხლის ღვრა, რომელიც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის ხდება.

პირიქით, იმ სიტყვაში, რომელიც პოლკოვნიკმა ჰასკელმა ადერბეიჯანის მთავრობის წინაშე წარმოთქვა, მან უარყო ის აზრი, ვითომც იგი „სომხეთის ადვოკატი“ იყოს: „ჩემი დანიშნულება—ამიერ-კავკასიის ერთა შორის შეტაკება არ დავუშვა. მე სრულიად ერთნაირად ვუყურებ ყველა რესპუბლიკებს“. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, პოლკოვნიკი ჰასკელი ძალიან კმაყოფილი დარჩენილა ადერბეიჯანის მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარულობით. მართალია, პოლკოვნიკი ჰასკელი უარყოფს ზოგიერთ აზრს, რომელიც მისი სიტყვით, გაზეთებმა მიაწერეს მას, მაგრამ ჯერ ერთი, რომ მას ჯერ არ გამოუცხადებია, რომელი აზრი მიაწერეს მას უსაფუძვლოდ გაზეთებმა; მეორე უმთავრესი მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, თუ რა სთქვა პოლკ. ჰასკელმა, არამედ იმას, თუ როგორ გაიგო მისი სიტყვები მისმა აუდიტორიამ და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ სიტყვებს და ის კი ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სომხეთის პარლამენტმა მის მიერ წარმოთქმული სიტყვა გაიგო, როგორც მუქარა ადერბეიჯანის მიმართ და როგორც სომხეთისათვის დახმარების აღთქმა ადერბეიჯანის თავდასხმის მოსასპობად. უეჭველია ისიც, რომ პოლკ. ჰასკელის სიტყვამ, რომელიც მან ადერბეიჯანის მთავრობის წინაშე წარმოსთქვა, პირიქით, ადერბეიჯანის მთავრობას უნდა აღუძრას იმედები, რომ ორ მეზობელ სახელმწიფოთა შორის ომში ამერიკა უფრო ადერბეიჯანის მხარეზე იქნება.

რა შედეგი უნდა მოჰყვეს იმ გარემოებას, რომ ორივე სახელმწიფოს მესვეურთ პოლკოვნიკი ჰასკელი თავისი მომხრე ჰგონია? ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ყველაზე ნაკლებ შეუწყობს ხელს იმ საქმეს, რომლის მოსაგვარებლადაც ჩამოსულა, მისივე სიტყვით, პოლკოვნიკი ჰასკელი: როდესაც სომხეთის მთავრობა დაინახავს, რომ ამერიკის წარმომადგენელს იგი მიაჩნია მართალი ორ სახელმწიფოთა დავაში, იგი უფრო შეურიგებელ პოზიციას დაიჭერს; პირიქით, ადერბეიჯანის მთავრობაც უფრო დაჟინებით და შეურიგებლად განაგრძობს ბრძოლას იმ იმედით, რომ ამერიკის წარმომადგენელმა მის მოქმედებიდან მხოლოდ მისი „მშვიდობიანობის მოყვარეობა“ დაინახა.

ჩვენ, ამნაირად, ძალიან ვშიშობთ, რომ დიდ სახელმწიფოთა ამნაირი ჩარევა ამიერ-კავკასიის საქმეებში მოგვიტანს არა იმ შედეგებს, რომლის მისაღწევადაც გამოუგზავნია პოლკ ჰასკელი კონფერენციას, არამედ სწორედ წინააღმდეგს.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებმა უნდა მიანებონ თავი იმ პოლიტიკას, რომელიც ნეკრასოვის დედაბრის იმედებს მოგვაგონებს: „აი, მოვა ბატონი, ბატონი მოგვარიგებსო“. ჩვენმა სახელმწიფოებმა სამუდამოდ უნდა მიატოვონ ეს გზა. მათ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნონ და სახელმძღვანელო პრინციპად უნდა მიიჩნიონ ის, რომ ამიერ-კავკასიის საქმეები მხოლოდ და მარტოოდენ ამიერ კავკასიის ერებმა უნდა მოაგვარონ. სხვისი ჩარევა საქმეს უფრო არევ-დარევს და აწეწ-დაწეწავს.

სხვა საქმეებზე როცა ჩამოვარდება ლაპარაკი, ყველას თითქოს ესმის, რომ დემოკრატიზმის უპირველესი პრინციპი მოითხოვს, რომ სახელმწიფოს საქმეები ფართო მასსის ჩარევით და მისი კონტროლით და ხელმძღვანელობით უნდა წყდებოდეს; თითქოს საანბანო ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, რომ უკვე დრო მოიჭამა იმ სახელმწიფოებრივმა სისტემამ, რომელიც ზემოდან აწყობს საქმეებს, ხალხის ჩაურევლად და დაუკითხავად. მაგრამ როდესაც საერთაშორისო ურთიერთობაზე მიდგება საქმე, ამიერ კავკასიის ერთა მესვეურნი ძველ ჩვეულებას ვერ განშორებიან და თავის მთავარ იმედებს მაინც უცხო ძალებზე ამყარებენ. დიდ სახელმწიფოების წინაშე ინტრიგების საშუალებით უნდათ ლელო გაიტანონ.

ჩვენ გვწამს, რომ პოლკოვნიკი ჰასკელი საუკეთესო მიზნებით ჩამოსულა ამიერ-კავკასიაში მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაშიც, რომ ის სისხლის ღვრა, რომელიც დღეს ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის წარმოებს, და აგრეთვე ყველა მსხვილი სადავო საკითხები ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შორის მხოლოდ თვით ამ სახელმწიფოთა საშუალებით უნდა გადაწყდეს. ჩვენ გვწამს, რომ ამიერ კავკასიის ერთა დემოკრატიის კულტურულ სიმაღლეზეა დამოკიდებული თუ რა სახეს მიიღებს ამ ერთა ურთიერთობა: შესძლებენ თუ არა, დაამყარონ თავიანთ შორის ის ფორმები, რაც დღევანდელ განათლებულ კაცობრიობის აზროვნებას გამოუმუშავებია, თუ ერთმანეთის ქლეტას და ჭამას განაგრძობენ, როგორც მგლები; მათ კულტურულ უნარზე, და სხვა არაფერ ძალზეა დამოკიდებული, თუ კულტურული ურთიერთობა დამყარდება ამიერ-კავკასიის ერთა შორის, თუ ჩვენი ერების ურთიერთობა იმ სახეს მიიღებს, რომელიც უფრო მე 12 საუკუნეს შეფერება, ვიდრე მე-20-ს.

## შტატს გარეშე დარჩენილი აფიცრობა

ჯარის რეორგანიზაციამ მრავალი აფიცერი შტატს გარეშე დასტოვა. ამათში ბევრი ისეთია, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკის დაცვა-გადარჩენაში. ესეც რომ არ იყოს, რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს, რომ აფიცერთა ამ ნაწილის მდგომარეობას სერიოზული ყურადღება მიაქციოს ჩვენმა მთავრობამ.

დროთა ვითარებამ ისინი სამხედრო სამსახურში გადაისროლა; მათ ბევრი შრომა და ენერგია დაუხარჯავთ სამხედრო საქმეების შესწავლაში და ახლა, უეცრათ, მათი სხვა საქმეებით დაინტერესება შეიძლება ფსიხოლოგიურათ ცოტა ძნელი იყოს. მარა ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელი და მით სარგებლობა მოუტანონ ჩვენ ხალხს აწეწილ ცხოვრების მოწესრიგებაში მონაწილეობით. აფიცრობა, როგორც ერთგვარი ინტელიგენტური ძალა, მალე შესძლებს და შეეჩვევა სხვადასხვა დარგებში მუშაობა საქმიანობას და შეავსებს იმ კადრს მომუშავებისას, რომელნიც იღწვიან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე და ასე თვალსაჩინოთ შეამცირებენ იმ „უკაცობას“, რომელსაც განიცდიან დღეს ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულებანი.

მართალია, პირველ ხანებში ძნელი იქნება მათთვის სხვა სამსახურის შეჩვევა-შეთვისება, მაგრამ აქ უნდა გაუწიოს მათ ხელმძღვანელობა მთავრობამ. მრავალი სპეციალისტებია საჭირო სხვადასხვა დარგში ჩვენი ერობებისათვის, ქალაქებისათვის და სხვა დაწესებულებისათვის. ყველა ამაებისათვის შტატს გარეშე დარჩენილი აფიცრობა იმდენად გამოსადეგია, რომ თუ კი მთავრობა იზრუნებს, გაუხსნის კურსებს სხვადასხვა დარგში, მისცემს მათ მატერიალურ საშუალებას ასეთი კურსების გავლისას, ამით ის დიდ დახმარებას გაუწევს, როგორც პირადათ მათ, ისე ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებებს. ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ, რაც უნდა კრიტიკული იყოს ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა, მთავრობა მაინც მოვალეა ყურადღებით მოეპყრას ჩვენ მიერ აღძრულ კითხვას და სათანადო ნაბიჯებიც გადადგას. მით უმეტეს, რომ თვით აფიცრობას უკვე გადაუდგამს პირველი ნაბიჯი თავის მდგომარეობის შესამსუბუქებლად და ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ აფიცრობას სურვილი აქვს დარჩეს ადგილობრივად და პროფესიის შეცვლით გაიზიაროს ჩვენი ხალხის ჭირ-ვარამი. ადგი-

# დ ღ ე ს

ბალშევიკების ცნობით შეთანხმება მოხდა დენიკინსა და უკრაინის დირექტორიას შორის

უკრაინასა და პოლონეთს შორის შეთანხმება მოხდა ბალშევიკების წინაალმდეგ თანხმობით საბრძოლველად.

ცარიცინის მიმართულებით საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

ბალშევიკებს დიდი იმედი აქვთ, რომ საბჭოთა ჯარი კიევს შეინარჩუნებს.

იაპონიამ კორეიას ავტონომია მიანიჭა.

---

ლობრივ მათი დარჩენა კი აუცილებელია, რადგან ჩვენ არ ვართ დაზღვეული სხვადასხვა სიურპრიზებისაგან და საჭიროების დროს ისევ მათ უნდა მივმართოდ. თუ ახლა ისინი დაიქსაქსა და გაიფანტა—მათი თავის მოყრა არც ისე ადვილი იქნება.

ჩვენმა ერობებმა, ქალაქებმა, კოოპერატივებმა უნდა ისარგებლონ ამ განთავისუფლებული ძალებით და მათ, ერთი მხრით თავის საკუთარი საქმეები აკეთონ, ხოლო მეორე მხრით შემოუნახონ რესპუბლიკას გაჭირვების დღისათვის გამოსადეგი სამხედრო პირები.

გან.

## ადგილობრივი ცნობები

**ბათუმი.**

ბათუმში სამხედრო წესები გამოცხადდა. მიზეზათ ინგლისის სარდლობა ასახელებს გახშირებულ ძარცვა-გლეჯას.

**ერევანი.**

ბაქოს „ნ. ვესტის“ მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით სომხეთის მთავრობამ ერევანში აღმოაჩინა სამხედრო ჯაშუშთა ორგანიზაცია, რომელშიაც შედიოდა ორი რუსი და ერთი სომხის ქალი. ხსენებულ ორგანიზაციას დიდ ძალი ფული ჰქონდა. მან გასცა ბევრი საიდუმლო სამხედრო საბუთები, რის გამო სომხის ჯარმა ფრონტზე ბევრი დამარცხება განიცადა. ჯაშუშები დახვრეტილ იქნენ.

**ბაქო.**

ამ დღეებში მოელიან მატარებლების პირდაპირ მიმოსვლის დაწესებას ბაქო როსტოვს შორის.

## საკანტროლო კომისიის წევრთა საყურადღებოთ!

30 ივლისს დანიშნული იყო საკანტროლო კომისიის სხდომა, რომელიც არ შესდგა. შემდეგი სხდომა დაინიშნა 1 ენკენისთვეს. ამხანაგებს საკმარისი დრო ჰქონდათ, რომ გაეგოთ და სხდომას დასწრებოდნენ. სამწუხაროდ, ეს მეორე სხდომაც არ შესდგა. ამიტომ პრეზიდიუმმა დანიშნა სხდომა 20 ენკენისთვეს.

გვიახლოვდება პარტიული ყრილობა. საკანტროლო კომისიას აქვს ბევრი საჭირ-ბოროტო და რთული საკითხები განსახილველი, ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ ამხანაგები მიიღებენ ყოველ ზომებს და სხდომას დაესწრებიან.

თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი.

მდივანი გ. ბახტაძე.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

2 სექტემბერი.

**ბალშევიკების ცნობები.**

**მოსკოვი.** სექტ. 1. სამხ. ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. არხანგელის რაიონში მოწინაალმდეგე მდ. ელეცის იქით გავდევნეთ. დასავლეთის ფრონტი. ლუგის რაიონში სმაროს ტბის ჩრდილოეთით მოწინაალმდეგემ ჩვენ ჯარს დაახევინა მდ. საბამდე, რომელიც სად. სტრუგიდან 25 ვერ. მანძილზეა. პსკოვის რაიონში ჩვენი წინსვლა მარჯვედ ვითარდება. დვინსკის ხიდის სიმაგრეებთან ბრძოლაა. აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი მტრის ძალდატანებით მდ. დასავლეთის დვინის მარჯვენა მხარეზე გადმოვიდა. პოლოცკის რაიონში აიღო სად. ზაგოტიე და დაბა პიშვო. სამხ. ფრონტი. ქ. სუჯას სამხრეთით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. მოწინაალმდეგემ ნოვი ოსკოლი დაგვატოვებინა. ხარკოვისკენ ჩვენი ჯარი ვოლჩანსკის აღმოსავლეთით იბრძვის. ურიუპინსკის მიმართ. სად. იარიჟენსკაია ავიღეთ. უსტმედვედიცისკენ ჩვენმა ჯარმა სერებრიაკოვო ზელენსკაიას რკინის გზა აიღო და ხელთ იგდო მოწინაალმდეგის ოთხი ჯავშნიანი მატარებელი 8 ზარბაზნით და 60 ტყვის მფრქვეველით. ცარიცინისკენ ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს და ქალაქს 70 ვერსით დაუახლოვდა. ცარევის სამხრეთ აღმოსავლეთით 20 ვერსზე ჩვენმა ჯარმა კაპუსტინიარი აიღო. აღმოს. ფრონტი. მდ. ურალის მარჯვენა მხარეზე ლაბისჩენსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 25 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სოფლები აიღო. ორენბურგის სამხრეთ აღმოსავლეთით 120 ვერსის მანძილზე სად იაისანთან ბრძოლის დროს 1200 ტყვე წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ 1500 თოფის ტყვია. ორსკის აღების დროს მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ და ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა. ორენბურგ-ორსკის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება. ჩვენმა ჯარმა სოფლები აიღო ორსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 30—80 ვერსის მანძილზე. ვერხნე ურალსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 125 ვერსზე ჩვენმა ჯარმა სოფლები აიღო. კურგანის რაიონში ჩვენი შეტევა პეტროპავლოვსკისკენ გრძელდება. იალუტოროვსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 ვერსის მანძილზე. ილუტორსკის შემდეგ მტერი დავამარცხეთ, წამოვიყვანეთ 1000-ზე მეტი ტყვე და ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიის მფრქვეველი. იშიმისკენ ჩვენი შეტევა მარჯვედ ვითარდება. მდ. ტობოლის გასწვრივ ქ. ტობოლისკენ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს.

**გომელი,** აგვ. 31. მიღებული ცნობებით პეტლიურას და დენიკინს შორის დიდი მოლაპარაკება იყო მათ შორის შეთანხმებისა, უკრაინაში დროებითი მთავრობის შედგენისა და უკრაინასა და სრულიად რუსეთის მთავრობის ურთიერთობის შესახებ. უკრაინის დელეგაციამ მიიღო მთავარი დებულებები, რომლის მიუღებლად დენიკინის მთავრობა მოლაპარაკების გაგრძელებაზე უარს განაცხადებდა: 1) უკრაინის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის აურყოფა, საკუთარ მმართველობის შენარჩუნებით; 2) განსაკუთრებული უფლება მიენიჭოს რუსეთის დამფუძნებელ კრებას საბოლოო მართვა-გამგეობის დასამყარებლად. მოლაპარაკება სამი კვირის წინად დაიწყეს. მოლაპარაკებაში მხურვალე მონაწილეობას იღებს ჩამომავლობით რუსი ამერიკელი მორისონი, როგორც დირექტორიის წარმომადგენელი. პარტიებიდან მონაწილეობა მიიღეს ესერების ჯგუფებმა. შულგინის ჯგუფმა მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

**ლიონი,** აგვ. 31. კონფერენციის ამერიკელი წევრები ძალიან აღელვებულნი არიან რუმინიის და უნგრეთის საქმეების გამო. რუმინელები უნგრეთის ძარცვას განაგრძობენ; გააქვთ ქონება და სურსათი. საფრანგეთის საქციელი ამ შემთხვევაში ძალიან აღელვებს ამერიკის დელეგატებს.

**ლონდონი,** აგვ. 29. რეიტერის სააგენტოს აუწყებენ, რომ იაპონიის მიკადომ კორეიის ავტონომიის დეკრეტი გამოსცა. კორეიას ადგილობრივი ავტონომია ენიჭება. პირდებიან რეფორმებს, რომელთაც კორეიის ავტონომიის განხორციელებას გულისხმობს. სამხედრო მმართველობა უქმდება, მის მაგიერ არსდება სამოქალაქო ადმინისტრაცია. ჟანდარმთა სამმართველოს ჩვეულებრ[illegible] სამოქალაქო პოლიცია შესცვლის. [illegible] იაპონელებთან უფლებრივათ გ[illegible].

**კიევი** აგვ. 29. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებთან საუბრის დროს იოფემ სხვათა შორის სთქვა: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მარჯვენა ფრთაზე დენიკინის მთავარი შემოტევა შევაჩერეთ. წითელმა ცხენოსანმა ჯარმა სოფ. ვარტნიჩთან ტყვედ წამოიყვანა მტრის ესკადრონი.

**ფრანგული პრესის ცნობები.**

უმაღლესმა საბჭომ მოიწონა ავსტრიის ხელშეკრულების რედაქცია. სამშაბათს მათ რენნერს გადასცემენ და 5 დღის ვადას მისცემენ საბოლოო პასუხის გასაცემად.

გუშინ პალატამ მოისმინა ბარისის მოხსენება. ბარისი თხოულობდა, რომ მთავრობამ შესწყვიტოს პოლიტიკა... (გაუგებარია) ალბერტ ტომას, რომელსაც სურს, რომ საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთობამ გარკვეული ფორმები მიიღოს.

**იტალიური პრესის ცნობები.**

უკრაინის ჯარი სამხრეთიდან წინ მიიწევს, მიაღწია მდ. დნეპრს და კიევიდან 15 კილომეტრის მანძილზე სადგ. ბოიარკა აიღო.

ვენეციაში მოვიდა ინგლისის გემი სამხედრო ტყვე-გერმანელებით. მათ შორის გერმანიის აღმოსავლეთის ჯარების ყოფილი მთავარ სარდალი გენ. სანდერსი, რომელიც ვერონა ალას მატარებლით მაშინვე გაიგზავნა გერმანიაში.

იტალიის რკინის გზათა კომისიამ დაადგინა არ გაადიდოს სათბობი მასალის, სურსათსანოვაგის და ნედლი მასალის გადაზიდვის ტარიფი.

რამდენიმე დღის შემდეგ ზღვაში ჩაუშვებენ იტალიის ახალ სამხედრო გემს „ლეონარდო და ვინჩს“.

აგვისტოს 26 გარდაიცვალა გერმანიის დემოკრატიულ პარტიის ლიდერი ფრიდრიხ ნაუმანი.

სპარსეთის შაჰი რამოდენიმე ხანი სტამბოლში დარჩება, შემდეგ ინახულებს იტალიას, შვეიცარიას, საფრანგეთს, ინგლისს და ამერიკას.

პოლონური პრესა იუწყება, რომ უკრაინასა და პოლონეთის შორის შეთანხმება მოხდა ბალშევიკებთან თანხმობით საბრძოლველად.

სექტემბრის პირველ ნახევარში ჯარიდან განთავისუფლებენ 1894 წ. გასაწვევებს და სამხედრო ექიმებს 1887—1888 წ. ამავე დროს მოხდება 1899 და 1890 წ. წ. საზღვაო აფიცერთა დემობილიზაცია.

---

## ერობათა ცენტრი *)

საქართველოს რესპუბლიკის ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობაზე ერთ მთავარ კითხვათ არის დასმული საკითხი ერობათა ცენტრალური კავშირის დაარსებისა.

როგორც სხვა მრავალი მხარე ერობის კონსტრუქციისა, ისე ამ ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის ამა თუ იმ სახით გადაჭრა, მჭიდროთ არის დაკავშირებული ერობის კომპეტენციის, მისი უფლება-მოსილების გარკვევასთან. ამიტომ საჭიროა წინასწარ ითქვას რამდენიმე სიტყვა იმ განსაკუთრებულ პირობებზე, რომლებშიაც ეწყობა ჩვენი ერობა.

ჩვენში რომ ისეთი ტიპის ერობას ილებდენ, როგორსაც წარმოადგენდა თუ გინდ 1864 წლის ერობა რუსეთში, რომლის კომპეტენცია მხოლოდ ნაწილობრივათ იყო ეკონომიური ხასიათის, უმთავრესად კი კულტურის და ჯანმრთელობის საქმეებით იხაზებოდა და ეს ხდებოდა თვითმპყრობელ მართველობის დროს, ჩვენ უეჭველად და გადაჭრით დავეთანხმებოდით ერობათა ცენტრალური კავშირის, როგორც პროფესიონალურ ორგანიზაციის დაარსებას და კიდევაც ვიბრძოლებდით ამ კავშირის გაჩენისათვის, ვინაიდან ეს ცენტრი, გააერთიანებდა რა ერობათა მოღვაწეობას, იმავე დროს შექმნიდა უდრეკ ძალას თვითმპყრობელური ბიუროკრატიის წინაალმდეგ და ამ მხრივ ეს ლოზუნგი ერობათა ცენტრის შექმნისა რევოლიუციონური ლოზუნგი იქნებოდა.—სწორედ ამიტომ მთელი რუსეთის პროგრესიული ნაწილი სიხარულით შეეგება ომით გამოწვეულ ერობათა და ქალაქთა კავშირების დაარსებას, რადგანაც ეს კავშირები მათ მიაჩნდათ თვითმპყრობელობის საწინაალმდეგო საზოგადოებრივ თვითმოქმედობის საუკეთესო ორგანიზაციათ. რეაქციონური რუსეთი კი მუდამ ებრძოდა მას.

თუმცა ევროპის თვითმმართველობანი განსხვავდებოდენ რუსეთის ერობისაგან, მზგავსება მათ შორის მეტი იყო განსხვავებაზე, ხოლო ბევრ რამეში რუსეთის ერობა უფრო ლიბერალურ გზას ადგა მათთან შედარებით, მიუხედავათ ამისა, ევროპის თვითმმართველობათა კავშირებზედაც ისივე ითქმება.—დღეს კი იქაც რღვევის პროცესი სწარმოებს და ვინ იცის, რა წერტილზე შეჩერდება ევროპა.

საქართველოში ეს რღვევის პროცესი უმთავრეს ნაწილში დასრულდა დღეს უკვე აღმშენებლობით, მუშაობა სწარმოებს.—თუმცა საქართველოს კონსტიტუცია დამფუძნებელ კრებას ჯერ არ მიუღია, ჩვენ მაინც დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფო წყობილების ფორმა, უეჭველად დადასტურებული იქნება, ვინაიდან მხოლოდ ამ ფორმაში შეიძლება საქართველოს არსებობა, სხვა გზა მას არ აქვს.

ისეთი დემოკრატიული რესპუბლიკა ჯერ არსად არ არსებობს, საქართველოს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებას რომ გამოადგეს, მის სახელმწიფოებრივ სხეულს რომ მოერგოს. არ ვიცით, რა პრინციპზე ჩამოყალიბდება საქართველოს სახელმწიფოებრივი ფორმა, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ დღევანდელ აღმშენებლობით მუშაობას მივყევართ რესპუბლიკანური გზით და ნათლად ვხედავს, რომ სივრცით და მცხოვრებთა რიცხვით შედარებით პატარა საქართველოს უნდა ჰყავდეს ერთი მტკიცე საფუძველზე დამყარებული ცენტრალური მთავრობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალების სახით. ეს ცენტრი უნდა იყოს დაყრდნობილი ადგილობრივ მმართველ ერთეულებზე და ამ მხრივ ეს ერთეულები, ერობა და ქალაქის თვითმმართველობანი უნდა კიდევაც წარმოადგენდენ მთავრობის ადგილობრივ აპარატს. სოციალისტებიც იმის ცდაში უნდა იყვნენ, რომ საწარმოო ძალთა დამოკიდებულებაში გამოხატული ეკონომიური მდგომარეობა საქართველოისა ჩამოაყალიბონ ისეთ საჯარო უფლებით აღჭურვილ ორგანოებში, იმ ეთ იურიდიულ ფორმებში, რომელთა მეოხებით უფრო იოლად შეიძლება სოციალიზმისაკენ გზის გაკაფვა და მასთან დაახლოვება. ამაში უნდა გამოიხატოს, ჩვენის აზრით, დემოკრატიული გზა სოციალიზმისაკენ. ეს კი შეიძლება მაშინ, როცა საქართველოში, როგორც ცენტრალური მთარობა,, ისე ადგილობრივი ორგანოები—ერობა და ქალაქის თვითმართველობანი ერთ და იმავე სახელმწიფოებრივ პრინციპზე იქნებიან დამყარებული განსხვავება მათ შორის უნდა იყოს მხოლოდ უფლება მოსილებაში, სახელმწიფო და საზოგადო შრომის განაწილებაში.

ამნაირად, ჩვენის აზრით, საქართველოს რესპუბლიკის ერობა, როგორც ასეთი, უნდა იყოს სახელმწიფო აპარატი, მისი ფუნქციების მამოძრავებელი. ეს თუ ასე იქნება, მაშინ მისი დამოკიდებულება ცენტრალურ მთავრობასთან უნდა იყოს პირდაპირი და არავითარი შუა ორგანო მათ შორის, განსაკუთრებით პროფესიონალური ხასიათისა, არ უნდა არსებობდეს.

რომ ნათლად გავარკვიოთ ის საკითხი, საჭიროა თუ არა ჩვენი მთავრობის გვერდით არსებობდეს ერობათა ცენტრალური კავშირი, ამისათვის დაგვჭირდება უფრო დაწვრილებით განხილვა შესაძლებელი და სასურველი დამოკიდებულებისა სახელმწიფოს ცენტრსა და პერიფერიებს შორის.

ჩვენი ერობის ფუნქციათა და უფლება-მოსილების გარკვევასთან ერთად უნდა გაირკვას ცენტრალური მთავრობის დამოკიდებულება მასთან. რუსეთისა და ევროპის ცენტრალურ მთავრობათა დამოკიდებულება თავიანთ ერობასა და თვითმმართველ ერთეულებთან გამოიხატებოდა უმთავრესად კანტროლში. განვიხილოთ ამ კანტროლის შინაარსი, რომ აქედან გამოვიყვანოთ ჩვენთვის შესაფერი დასკვნა.

კანტროლი შეიძლება იყოს სამნაირი: ადმინისტრატიული, ფინანსიური და სამოსამართლო. პირველ სფეროს ეკუთვნის ადგილობრივ თვითმმართველობათა მოღვაწეობის მეთვალყურეობა. ცენტრი უნდა უთვალყურებდეს ადგილობრივ თვითმმართველობებს და ამაში უნდა გამოიხატოს მისი დამოკიდებულება თვითმმართველ ერთეულებთან. რუსეთში ეს ადმინისტრატიული კანტროლი ყველაზე უფრო ტლანქ ფორმაში იხატებოდა. ერობის ბედ-იღბალი გუბერნატორებისა და სტანოვოების „უსმოტრენიესაგან“ იყო დამოკიდებული, თვით ერობა კი თავად-აზნაურების ხელში.

ინგლისში ადგილობრივ საქმეთა გამგეობა, ცენტრალური კანონით შემოფარგლული, ეკუთვნის ხალხის მიერ არჩეულ უჯამაგირო პირთ, რომელთაც ემორჩილებიან ჯამაგირიანი მოსამსახურენი. ცენტრალურ მთავრობას აქვს დამოკიდებულება მხოლოდ საბჭოებთან, და ადგილობრივ თანამდებობის პირთ კი ის არ ეხება, ვინაიდან ეს უკანასკნელნი არ არიან პასუხისმგებელნი მის წინაშე, მხოლოდ ზოგ თანამდებობის პირთ ცენტრი ამტკიცებს და სცვლის. ასეთ პირებათ ითვლებიან ექიმები და სანიტარული ინსპექტორები, რომელთაც ნიშნავს სამსახურში საზოგადოებრივ თვითმმართველობის სამინისტრო. ეს იმიტომ ხდება, რომ ეს თანამდებობის პირნი (ექიმები და ინსპექტორები) არ იყონ დამოკიდებულნი ადგილობრივ მოხელეთაგან, რომლებთანაც საქმიანობის ნიადაგზე მით შეიძლება კონფლიქტიც მოუხდეს.

ადგილობრივ პოლიციის უფროსის დანიშვნა საჭიროებს შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცებას; მაგრამ, როგორც ამას, ისე მუდმივ თანამდებობის პირთ, კანტროლს უწევს არა ცენტრალური მთავრობა, არამედ ადგილობრივათ არჩეული საბჭო, რომელიც არის ამ საქმეში პასუხისმგებელი.

კონტინენტალურ ქვეყნებში კი (იგულისხმება ძველი გერმანია და საფრანგეთი) სულ სხვანაირათ არის ეს საქმე დაყენებული. იქ ცენტრალურ მთავრობებს ეკუთვნის სრული უფლება კანტროლის. სულ ერთია—ჯამაგირიანი იქნება ესა თუ ის თანამდებობის პირი თუ უჯამაგირო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი ამავე დროს არის ადგილობრივი თვითმართველობის აგენტიც. ისინი ჯერ ცენტრის წარმომადგენლებია და მერე ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოები, როგორც მაგალითად, საფრანგეთის პრეფექტი. სხვა შემთხვევაში ადგილობრივათ არჩეული პირნი, იმოხებიან უფლებით ცენტრალური მთავრობისაგან და თავიანთ რაიონებში მოქმედებენ, როგორც ცენტრის წარმომადგენლები. ასეთებია პრუსიაში ლანდრატი (მაზ-

*) სასურველია ამ საგანზე აზრთა გაცვლა გამოცვლა, რადგან საკითხი დიდ დავას იწვევს ჩვენში.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბები

ღეს, სალამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა. ვინაიდან ფრიად საჭირო საკითხები განსარჩევი, წევრები აუცილებლათ უნდა დასწრონ.

✦ **მიწის ძვრა**. გუშინ, შუადღის 12 ს. თფილისში მიწა იძრა.

✦ **მთის თუშეთში დამფუძნებელი კრების** დამატებითი არჩევნები დამთავრდა. ამომრჩეველი იყო 850. მიიღო მონაწილეობა 436-მა № 1—408 ხმა, № 2—18, №5—6, № 8—6.

✦ **პოეტი პ ცახელის მოკვლა**. თფილისში მიღებული ცნობით თავის სოფელში (რაჭაში) ბოროტ-მოქმედთ მოუკლავთ პოეტი პ. ცახელი (თვალჭრელიძე). მიზეზი მკვლელობისა გამორკვეული არ არის. დღეს, სალ. 5 ს., ქართველ მწერალთა კავშირის გამგეობის ინიციატივით ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი.

✦ **ბავშვებზე და დედებზე მზრუნავი** საზოგადოება აცხადებს, რომ მიმდინარე სექტემბრის 4-ს თფილისში დაბრუნდებიან მანგლისის თავშესაფარიდან ბავშვები. მშობლებმა უნდა მოიკითხონ ისინი იმავე დღეს სალამოს 6 საათზე (პეტრე დიდის ქუჩაზე № 9) ქავთარაძის ბინაზე.

✦ **თფილისის ტრამვაის კონდუქტორებმა** მოსთხოვეს დირექციას, რათა მათ მიეცეთ ხურდა ფული, რომლის ნაკლებობაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს ტრამვაის მგზავრებში.

✦ **„ახალგაზრდათა სახლი“**. ქართველ მოწაფეთა დრამატიული წრის გამგეობა, არსებული ახალგაზრდათა სახლთან, იწვევს საერთო კრებას პარასკევს, 5 ენკენისთვეს, სალ 5 ს. ვისაც სურს ამ წრეში მუშაობა, სთხოვენ მობრძანდნენ ზემო აღნიშნულ დროს რეალურ სასწავლებლის შენობაში „ახალგაზრდათა სახლი“ ს ბიუროში. დიდი მთავრის ქუჩა. (უჩებნი შესახვევი).

✦ **სტუდენტთა კრება**. კვირას, 31 აგვისტოს, შესდგა ამიერ-კავკასიის და რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა კრება. კრებაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა საექიმო ფაკულტეტის დეკანთან მოლაპარაკება და მესამე კურსზე შესვლის პირობების გამორკვევა უახლოეს დროში. ამ საკითხის შესახებ ცნობების მიღება შეიძლება: ყოველ დღე 10—2 ს. ალ. უსტიაშვილთან, ტელეფონი № 9—57, და ოთხშაბათობით 11—12 საათ. ჯაიანთან—„სევერნია ნომერა“, № 2.

✦ **სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი** კ. ე. ანდრონიკაშვილი დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტი** ვინაიდან ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლა სურთ, მაგრამ სხვადასხვა პატივსადებ მიზეზთა გამო თხოვნის შეტანა დროზე (31 აგვისტომდე) ვერ მოუსწრიათ, ამიტომ თხოვნების მიღება უნივერსიტეტში სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ გაგრძელდება 5 სექტემბრამდე იმ ფაკულტეტზე, რომელზედაც მთხოვნელთა რიცხვი დადებულ ნორმას აღემატება, ატესტატების კონკურსი მოხდება.

✦ **ქეშელავას მკვლელების შეპყრობა**. ზუგდიდში დაუჭერიათ სამაზრო კომისარის თანაშემწე ქეშელავას ორი მკვლელთაგანი.

✦ **სომეხთა ხალხთა თავისუფლების პარტიის** ორგანო „ჟოღოვრდი ძაინი“-ს გამოსვლა შესწყდა 7 სექტემბრამდე; ამ დროისთვისაც დანიშნულია პარტიული ყრილობა, სადაც გადაწყდება გაზეთის გამოცემის განახლება.

✦ **მცხოვრებლების ხაყურადღებოდ**. სასურსათო განყოფილებამდე მიაღწია ცნობებმა, რომ ზოგიერთი სარაიონო კომიტეტები, რომლებიც განყოფილებიდან ღებულობენ სხვადასხვა სურსათს, მცხოვრებლებზე გასანაწილებლად და დასარიგებლად, ყიდიან გარეშე პირებზე მაღალ ფასებში, როგორც მაგ. 1 უბნის 1 სარაიონო კომიტეტმა და 7 უბნის 7 სარაიონო კომიტეტმა გაჰყიდეს საპონი ნიხრის ზევით მაღალ ფასებში. აღნიშნულ სარაიონო კომიტეტების წევრებს უკვე აეკრძალათ სურსათის გაცემა; რაიონებს, რომელთაც გაჰყიდეს ის, მიეცათ წინადადება ახალი შემადგენლობის სახით დაარსონ კომიტეტები, კომიტეტების წევრთა საქმე კი გადაეცა სისხლის სამართლის მილიციას დამნაშავეთა პირების პასუხისგებაში მისაცემად. სასურსათო განყოფილება სთხოვს ყველა მოქალაქეთ ფხიზლად ადევნონ თვალი სარაიონო და ბინის კომიტეტების მოქმედებას და იმ შემთხვევაში, როდესაც შეამჩნევენ ბოროტმოქმედებას, აცნობონ სასურსათო განყოფილებას. სასურსათო განყოფილების ინსტრუქტორებს მიეცათ წინადადება, რომ მალ-მალ ინახულონ ხოლმე სარაიონო კომიტეტები და ბეჯითად უთვალთვალონ მათ მოქმედებას. ბოროტმოქმედებაში შემჩნეულნი სარაიონო კომიტეტების წევრნი დაუყოვნებლივ იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა.

✦ **სახელმწიფო უნივერსიტეტში** საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მესამე კურსი უკვე გაიხსნა. მესამე კურსზე მიიღება ყველა, ვინც ირიცხება საბუნებისმეტყველო და სამეურნეო ფაკულტეტზე და გადავიდა მეორე კურსიდან მესამეზე. თხოვნების მიღება გრძელდება 15 სექტემბრამდე.

✦ **ყოფილ კადეტთა კორპუსის** შესაკეთებელი მუშაობა ამ დღეებში დამთავრდება, ოქტომბრიდან დაიწყება ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა იქ გადატანა

✦ **ბიუჯეტის განხილვა**. დამფუძნებელ კრების სესიის გახსნის პირველ ხანებში საფინანსო საბიუჯეტო კომისიას განზრახული აქვს შეიტანოს განსახილველათ პროექტი 1919—20 წლის საქართველოს ბიუჯეტისა.

### კ რ ე ბ ე ბ ი.

პარასკევს, 5 ენკენისთვეს, სალამოს 6 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ახალ არჩეულ I რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა.

— ხუთშაბათს 4 სექტემბერს სალ. 5 ს მე-6 რაიონის კოლექტივის ბინაზე დანიშნულია ახლად არჩეულ ქალთა ორგანიზაციის სხდომა.

— ოთხშაბათს, 3 სექტ., სალ. 6 ს. შესდგება საქ. სოც. დ. მ. პ. სომხური სექციის სხდომა.

— ნაძალადევში მშობელთა კრება ე. ბილანიშვილის გიმნაზიისა სთხოვს ყველა მოსწავლეების მშობლებს მობრძანდენ კრებაზე, გიმნაზიის შესახებ, ხუთშაბათს, 4 სექტემბერს, სალ. 4 ს. სასწავლებლის შენობაში.

### პროვინციის ქრონიკა.

**სოფ. ვანის** (გურია) უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისთვის საჭიროა ორი მასწავლებელი. საერთო პირობების გარდა მიეცემათ უფასო ბინა, განათება—გათბობა. მსურველთ შეუძლიან მიმართონ შემდეგი ადრესით: ნიგოითი ვანის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლისთვის.

**ქ. სამტრედიაში**, კვირას, 7 ენკენისთვეს, შუადღის 12 საათზე, პლატონ კანდელაკის ეზოს გვერდით—ლევან ნიკურაძის ეზოში გაიმართება სალამო—სეირნობა, სადაც დამფუძნებელი კრების წევრი ლევან ნათაძე წინასწარ წაიკითხავს ლექციას მიმდინარე მომენტზე. ლექციის შემდეგ კამათი და შეკითხვები.

— 4 სექტემბერს დღის 2 ს. დეპოში მუშაობის გათავების შემდეგ სამტრედიის რკ.გზ. კლუბში დანიშნულია სამტრედიის რაიონის რკ. გზ. მუშა-მოსამსახურეთა კრება, სადაც დამფუძნებელი კრების წევრი გააკეთებს მოხსენებას დამფ. კრების მუშაობაზე და ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაზე.

# გერმანიის რესპუბლიკის კონსტიტუცია

8 ივლისის „ტან“-ში მოთავსებულია გერმანიის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული გერმანიის კონსტიტუციის მოკლე შინაარსი: „სახელმწიფოს სათავეში სდგას პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს მთელი ხალხი ხმის აბსოლიუტური უმრავლესობით. თუ ერთ-ერთი კანდიდატი ამგვარ უმრავლესობას არ იღებს, ხდება ხელმეორე კენჭის ყრა. პრეზიდენტი უნდა იყვეს არა უმცროეს 35 წლისა და გერმანიის ქვეშევრდომად ნამყოფი უნდა იყვეს არა ნაკლებ 10 წლისა. არჩევის ვადა 7 წელიწადია, ამასთანავე ის ხელმეორედ შეიძლება იქნეს არჩეული. მისი უფლება ნაკლებ ავტოკრატიულია, ვიდრე შეერთებული შტატების პრეზიდენტისა, მაგრამ უფრო ფართეა, ვიდრე უფლება საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა, საერთოდ მოგვაგონებს ინგლისის მეფის ძალა უფლებას. სპეციალურ ფუნქციებს გარდა, რომელიც ეკუთვნის მას, როგორც მთელი სახელმწიფოს წარმომადგენელს, ის პრინციპიო არის უმაღლესი ბელადი ჯარისა, ნიშნავს მოხელეებსა და ოფიცრებს. მას უფლება აქვს აგრეთვე საქმეში ჩაერიოს იმ შემთხვევაში, თუ ცალკე „ოლქებში“ (ასე ეწოდება ეხლა ცალკე გერმანულ სახელმწიფოებს) მღელვარება დაიწყო, ან და თუ ეს „ოლქები“ კონსტიტუციას დაარღვევენ. ის ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და მინისტრებს და ვალდებული არაა ისინი უსათუოდ პარლამენტის წევრთაგან აირჩიოს, მაგრამ, რომ კაბინეტმა იარსებოს, აუცილებელია, რომ ის კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტის ნდობით იყვეს აღჭურვილი.

საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის რეიხსტაგს, რომელიც არის არჩეული საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლებით, განურჩევლად სქესისა, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის თანახმად. რეიხსტაგს ირჩევენ 3 წლით. ის ავტომატიურად იკრიბება იმ ალაგას, საცა მთავრობა არსებობს, ყოველი წლის ნოემბრის პირველ ოთხშაბათს. თუ დეპუტატთა ერთი მესამედი მოითხოვს, თავმჯდომარე მოვალეა ის ყოველ დროს მოიწვიოს. თუ რეიხსტაგმა ორი მესამედი ხმის უმრავლესობით დაადგინა, რომ პრეზიდენტი გადადგეს, კითხვა გადაეცემა სახალხოდ კენჭის საყრელად. 100 დეპუტატის მოთხოვნით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრები უმაღლეს სასამართლოში მიეცემიან, თუ მათ ბრალს სდებენ კონსტიტუციის დარღვევაში.

---

რის ერობის თავმჯდომარის თანამდებობაა, რომელსაც ნიშნავს კაროლი), სამაზრო კომიტეტი, ქალაქის მაგისტრატი (ადმინისტრატიული დაწესებულებანი) აგრეთვე საფრანგეთის მერი (თემის თავმჯდომარე ადმინისტრატიული ძალა უფლებით აღჭურვილი, რომელსაც ირჩევს მუნიციპალიტეტი და ამტკიცებს პრეფექტი). რამდენათაც ისინი ცენტრის წარმომადგენლები არიან, იმდენათ მათი მოქმედება ცენტრის სასარგებლოთ სწარმოებს ადგილობრივათ. ამ მიდრეკილებას ის საქმეზე ყოველთვის იჩენს მაგალითად, საფრანგეთის სადეპარტამენტო გენერალურ საბჭოს მრავალ დადგენილებას ესაჭიროება პრეფექტის (პროვინციის გამგე) დამტკიცება—ზოგი სხვები მას აქვს უფლება პირდაპირ წარუდგინოს სამინისტროს პარიზში.

პრუსიის ლანდრატს ამტკიცებს ცენტრალური მთავრობა სამაზრო კრების წარდგენით, ჯამაგირს იღებს სამაზრო კრებიდან. მისი სამსახურიდან დათხოვის უფლება კი ეძლევა ცენტრს, ამიტომ ის სცდილობს არც ერთ ამ ორ ბატონთან არ მოუვიდეს კონფლიქტი, ხოლო, თუ მოუვიდა, მაშინ ის, რასაკვირველია, ეკედლება უფრო ღონიერს, ე. ი. იჭერს ცენტრის მხარეს.—სამაზრო კომიტეტების არჩეულ წევრებზედაც ასეთი ადმინისტრატიული კონტროლია, მაგრამ მათი გამორიცხვის უფლება ეძლევა მხოლოდ ადმინისტრატიულ სასამართლოს. ამავე წესით ხდება ბურგომისტრის (ქალაქის თავი), სტაროსტების და ქალაქის მაგისტრატორების დათხოვა. საფრანგეთის მერის სამსახურიდან გადაყენება შეუძლია პრეფექტს ერთი თვით, შინაგან საქმეთა მინისტრს სამი თვით და საბოლოოთ დათხოვა მისი კი შეიძლება მხოლოდ რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით,—ამ კატეგორიის მოსამსახურე პირთა დათხოვა ინგლისში შეიძლება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით.—ცენტრალურ მთავრობამაც ამ შემთხვევაში იმ გზას უნდა მიმართოს, როგორც კერძო მოქალაქემ. თუ თვითმართველობასა და ცენტრს შორის უთანხმოება მოხდება, მაშინ თვითმართველობის დათხოვის და ახალი არჩევნების დანიშვნის უფლება ეძლევა ცენტრს.

1902 წლიდან ეს კანონი ინგლისში თითქმის აღარ მოქმედებს. პრუსიაში და საფრანგეთში კი ისევ ძალაშია. ამ განკარგულებას ახდენს საფრანგეთში პრეზიდენტი და პრუსიაში კაროლი. საარჩევნო ვადა სხვადასხვანაირია ორიდან ოთხ თვემდე.

კანტროლის სფეროს ეკუთვნიან აგრეთვე დამტკიცება, ხელმძღვანელობა და იძულება. საჭიროა ამ მხარეების განხილვაც.

ინგლისის კანონდებულება ნათლად არკვევს ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოების უფლება-მოსილებას და ამ ფარგლებში კიდევაც აძლევს მათ სრული დამოუკიდებლობის გარანტიას. საფრანგეთი და პრუსია კი ინგლისთან შედარებით ძლიერ ფართე უფლებებს ანიჭებს ადგილობრივ თვითმართველ ორგანოებს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ უფლებათა დიდი უმეტესობა გატარდეს ცხოვრებაში მხოლოდ ცენტრალური მთავრობის სანქციით. საფრანგეთში ამ კანტროლის (დამტკიცების) როლი დაკისრებული აქვს პრეფექტს ან მინისტრს, პრუსიაში საოლქო და სამაზრო კომიტეტებს. სამაზრო კომიტეტის დადგენილება შეიძლება გაასაჩივრო საოლქო კომიტეტში, ამ უკანასკნელის კი სამინისტროში.

ინგლისის საპოლიციო ნაწილში გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი. ჯანმრთელობისა და სხვა საქმეთა შესახებ კი არის საჭირო უმაღლესი მთავრობის დამტკიცება. სანიტარულ გამგეობის სფეროში (დრენაჟების გაყვანა, ბინის პლანის შედგენა, წყალსადენის მოწყობა და სხვა ასეთები) საჭიროა საზოგადოებრივ თვითმმართველობის სამინისტროს ნებართვა. ამავე სამინისტროს უფლება აქვს გამოსცეს სანიტარული საჭიროებით გამოწვეული სავალდებულო დადგენილება და გაატარებინოს ის ცხოვრებაში ადგილობრივ თვითმმართველობებს, საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა დაკისრებული აქვს ადგილობრივ თვითმმართველობებს. მაგრამ ამ საქმეშიაც ისინი ვალდებულნი არიან შეასრულონ მიწად-მოქმედების სამინისტროს ბრძანება და ინსტრუქციები. კიდევ უფრო ფართეა ცენტრის უფლება საზოგადოების მზრუნველობის საქმეში. აქ მას შეუძლია გამოსცეს საზოგადო საერთო და სპეციალური განკარგულებანი, რომელთა ასრულება სავალდებულოა თვითმმართველობათათვის. გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში ის დარგები, რომლითაც დაინტერესებულია ცენტრი, ჩაბარებული აქვს მთავრობის მოხელეებს და ცენტრის ინტერესები უზრუნველყოფილია ჩვეულებრივი ბიუროკრატიული კანტროლით.

თუ როგორ უნდა აიძულო თვითმმართველობანი, რომ აღასრულონ პარლამენტის კანონით განსაზღვრული თუ ცენტრალური უწყებათა მიერ ნაბრძანები განკარგულება-ვალდებულებანი, ეს უფრო რთულ საქმეს წარმოადგენს. როცა რომელიმე თვითმმართველი ორგანო არ ასრულებს თავის მოვალეობას, ინგლისში სამინისტრო უმეტეს შემთხვევაში მიმართავს უმაღლეს სასამართლოს, რომელმაც უნდა გამოსცეს ბრძანება, „Mandatus“ იმ ორგანოს წინააღმდეგ, რომელიც მას არ ემორჩილება.

ზოგ შემთხვევაში უჭერენ სახელმწიფოდ ახმარებას ნაწილობრივ ან მთელად. სადაც ასეთი დახმარება არ არის, იქ მთავრობა იძიებს საქმეს, ააშკარავებს გაზეთებში თვითმართველობების უმოქმედობას და მიუთითებს საჭირო ზომებზე. საფრანგეთში და გერმანიაში კი ურჩ თვითმმართველობებს ცენტრალური მთავრობა უმაღლესი ბრძანებით ითხოვს, ზოგ შემთხვევაში იღებენ ადმინისტრატიულ ზომებს, ახდენენ ზედგავლენას თავის მოხელეთა საშუალებით ნუსხის დამტკიცების დროს, უცვლიან ნუსხას, უმატებენ ბეგარას და სხვა.

რჩევის კონტროლის და ხელმძღვანელობის გასაწევად საჭიროა სპეციალური ორგანოები. ამ მიზნით ინგლისში არსებობს ინსპექტორატი, ყველა უწყებას ყავს თავისი ინსპექტორი, რომელიც ვალდებულია თავის რაიონში უხელმძღვანელოს თვითმმართველობებს. საანგარიშო ნაწილის განსახილველად არსებობს აუდიტორები. სახალხო განათლების ინსპექტორი იხილავს იმ სკოლებს, რომლებიც ცენტრალური მთავრობის ხარჯზე ინახება, ან იღებს დახმარებას მისგან. შინაგან საქმეთა ინსპექტორები იყოფებიან სხვა და სხვა ნაწილად: საპოლიციო ინსპექტორები, საექიმო ნაწილის ინსპექტორები, ვაქრობა-მრეწველობის ინსპექტორები, ინჟენრები და სხვა. არიან აგრეთვე მიწად მოქმედების და საზოგადოების მზრუნველობის ინსპექტორები. ამ ინსპექტორებს არ აქვთ დამოუკიდებელი უფლებანი. მათი მოვალეობაა ხელმძღვანელობა, გამოძიებათა წარმოება და სათანადო უწყებისადმი წარდგენა. აუდიტორები უფრო დამოუკიდებელი პირებია, მათი მოქმედების გასაჩივრება შეიძლება აქედან ცხადია, რომ ამ ინსპექტორების გარეშე და ისიც სახალხო მზრუნველობის საქმეში. განსაკუთრებით ინგლისის ცენტრალურ მთავრობას, არ აქვს არავითარი საშუალება, რომ თვითმართველობა დაიჭიროს იმ მომენტში, როცა ის უკანონობას სჩადის, უმეტეს შემთხვევაში ამ უკანონობას ის ტყობილობს შემდეგ. ამის გამო უკანონო მოქმედების გამჟღავნება ერთიანად დამოკიდებულია კერძო მოქალაქის პირად ინიციატივაზე, რომლის ინტერესი იქნება შელახული ამა თუ იმ განკარგულებით. საფრანგეთში და გერმანიაში ეს საქმე უფრო იოლად კეთდება, ვინაიდან ცენტრალური მთავრობის მეთვალყურეობა მინდობილი აქვს ადგილობრივ მოხელეებს, რომლებიც იმავე დროს წარმოადგენენ მათს აღმასრულებელ ორგანოს. ასეთი წესის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ საკონტროლო პასუხის გება ეკისრება არა სატახტო ქალაქების მოხელეთ—ცენტრის სხვა და სხვა უწყებებს, არამედ ადგილობრივ პირობების შედარებით კარგათ მცოდნე პირთ რამდენიმე ხალხის ნდობით აღჭურვილ პირებთან ერთად. ამას შედეგათ ის მოსდევს, რომ ცენტრი თავისუფალია წვრილი საქმეებისაგან და მეტი საშუალება ეძლევა საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახუროს, თვით კანტროლი კი უფრო სწრაფი და ნაკლებათ ბიუროკრატიულია.

ოზურგეთის სამაზრო ერობის ხმოსანი

ვიქ. ღლონტი.

(დასასრული იქნება)

რეიხსტაგის სხდომები ღია კარებში სწარმოებს, მაგრამ თუ ირჩევა საგარეო საქმეები, ისინი დახურულ კარებშიც სწარმოებენ. ახალი რეიხსტაგის განსხვავება რევოლიუციის წინა დროინდელისაგან მდგომარეობს, პარლამენტის წინაშე მინისტრთა პასუხისმგებლობის გარდა, იმაში, რომ ის თვით იწვევს თავის თავს, აგრეთვე დეპუტატების არჩევნების ვადა შემცირებულია, პარლამენტს მიცემული აქვს უფლება ყველა საქმეების კონტროლისა და დეპუტატის იმუნიტეტიც გაფართოვებულია.

რაც შეეხება „რეიხსრატს“, ე. ი. გერმანიის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ცალკე სახელმწიფოთა წარმომადგენლების კრებას, მისი როლი მეორე ხარისხოვანია. ამ კრებაზე თითო სახელმწიფოს („ოლქს“) მილიონ მცხოვრებზე ერთი წარმომადგენელი ჰყავს და არც ერთ მათგანს არ შეუძლია ხმების ერთ მესამედზე მეტი იყოლიოს.

რევოლიუციამდე პრუსიას „ბუნდესრატში“ ხმების უმრავლესობა ჰქონდა. რეიხსრატში თავმჯდომარეობს გერმანიის რესპუბლიკის მთავრობის ერთ ერთი წევრი. მისი არსებითი განსხვავება მოკავშირე საბჭოსაგან ის არის, რომ მისი წევრები ხმას აძლევენ არა თავის მთავრობებისაგან მიღებულ ინსტრუქციების თანახმად, არამედ თანახმად თავიანთი საკუთარი შეხედულებებისა. ცენტ. მთავრობას უფლება აქვს შეიტანოს რეიხსტაგში კანონ პროექტები რეიხსრატის აზრის წინააღმდეგაც, მაგრამ მან აზრის შესახებაც უნდა მოახსენოს მას, ის მოვალეა აგრეთვე შეიტანოს რეიხსტაგში კანონების პროექტები, რომლებთაც რეიხსრატი აყენებს, თუნდაც ის მათ არ ეთანხმებოდეს.

დაბოლოს, რეიხსრატს პირობითი უფლება აქვს ვეტო ი ყველა კანონების მიმართ, რომელთაც რეიხსტაგი იღებს. და თუ რეიხსრატის ჩარევის შემდეგ რეიხსტაგმა მაინც მიიღო კანონი, ის ძალაში შედის რეიხსრატის წინააღმდეგაც, თუ ის მიღებულია ხმების ორი მესამედით. და თუ ესეთი უმრავლესობა არ არის, რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია რეფერენდუმს მიმართოს. კონსტიტუციაში მიღებულია აგრეთვე შვეიცარიის დაგვარად ინიციატივის და რეფერენდუმის უფლება.

**სახლის პატრონის ძალ-მომრეობა და ჩვენი სასამართლო.**

(წერილი რედაქციის მიმართ).

გასული წლის ნოემბერში ჩემმა ცოლის ძმამ იქირავა ბრანისლავ პოდზიევსკიდამ (ბორჯომის ქ. № 8) 2 ოთახი დგამით და ყოველგვარი მოწყობილობით. პოდზიევსკიმ წინდაწინვე მოითხოვა 3 თვის ქირა, მაგრამ შემდეგ ორ თვე ნახევრისაზე დაყაბულდა. შემდეგ, რომ საწინააღმდეგო არაფერი ჰქონოდა, ცოლის ძმამ მოწმის თანადასწრებით გააფრთხილა, რომ დეკემბრიდან მასთან გადმოვლენ—სიძე და ორი და, ე. ი. სულ 4 სული იქნებიან, რაზედაც ის დასთანხმდა, მაგრამ ბოლოს სულ სხვა გამოდგა.

ჩვენი გადასვლის მესამე დღიდანვე, მიუხედავად წინდაწინ მიცემული ქირისა და საბაბის მიუცემლობისა ამაზე, დაგვიწყო სასტიკად შევიწროება: დაგვიკეტა წყალი, სამზარეულო, ფეხის ალაგი, ჩაგვიქრო სინათლე და ჩაგვიჭედა ფანჯრები ჩვენს განცალკევებულ „კორიდორში“, რომელთანაც არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია მას. მივმართეთ მილიციას ზომების მისაღებად, მაგრამ ვერც მან დაგვიფარა ძალ-მომრეობიდან. ერთ ადგილას, როდესაც ჩემი ოთახის წინ მისი ჩაჭედილი ფანჯარა გავაღე, მომვარდა და კინაღამ ჩამქოლა აგურებით და შეშის ნაჭრებით, რომლებიც ავიცილე და შევედი ოთახში, რომ მისთვის თავი არ გამეყადრებინა. ის კი, მოვარდა, კარებთან აკრიფა მისი ნასროლი საგნები და დაუშინა კარების მინას, რომელიც მთლად დალეწა და ოთახში შემოვარდნილმა აგურმა, შეშამ და მინის ნამტვრევებმა კინაღამ დაასახიჩრა ჩემი ცოლის პატარა და—გადარჩა მხოლოდ ერთ ბეწვზედ რაღაც ბედნიერი შემთხვევით. ისარგებლა რა იმით, რომ იმ დროს იქ არავინ იყო გარეშე, ჩემი ცოლის ძმაც სამსახურში იყო, ჩადგა საზოგადო გასავალ კარებში ნაჯახით (გასავალი ერთია, ოთახები მეორე სართულშია) და არ მოგვცა საშუალება მილიციის დაძახების—ვინ იცის, რამდენ ხანს გავატარებდით მისი ტერორის ქვეშ, რომ იმ დროს შემთხვევითი გამვლელ მილიციონერისთვის არ დაგვეძახნა ფანჯრიდან. შემდეგ მივმართე უბნის მილიციას, რომელმაც სასამართლოზე მიმითითა. მომრიგებელმა მოსამართლემ 20 დღეში გაარჩია საქმე და გადაუწყვიტა 5 დღე და ღამით სატუსაღოში ჯდომა და მისცა უფლება გადატანის საოლქო სასამართლოში, რომელმაც 19 მაისს დაამტკიცა პირველი ინსტანციის განაჩენი. ძალაში შევიდა 5 ივნისს, მაგრამ სანამ რამოდენიმეჯერ არ მივედი და ძალად არ მოვითხოვე მიეცათ მსვლელობა, საქმე განისვენებდა. როგორც იქნა დეკემბერში დაწყებული საქმე 29 ივნისს გამოვაგზავნიე მომრიგებელ მოსამართლესთან და იქიდან მე 12 უბნის კომისარისთვის, მაგრამ დღესაც არაა შესრულებული. ჩემს შეკითხვაზე—რატომ არ მოჰყავს სისრულეში, კომისარმა მაჩვენა ტელეფონოგრამმა № 214, რომელშიც პროკურორი ტატიშვილი აძლევს განკარგულებას, რომ შეაჩერონ პოდზიევსკაიას დატუსაღება. მე ამ საქმის მაინტერესებს პრინციპიალური მხარე და ის, თუ რათ აგვიანებს სამართლის სისრულეში მოყვანას ახალი სასამართლო?

ამ 7 თვის განმავლობაში წათამამებულმა პოდზიევსკაიამ, რომელიც, იმ სახლის კომიტეტის თავმჯდომარის გადმოცემით, დიდათ დახელოვნებული ყოფილა მდგმურებზე „ნადირობაში“ და მათ წინააღმდეგ ველურ გამოსვლებში; არა ერთი და ორი მდგმური შეავიწროვა—მაგალითად ერთ ნემცის ქალისთვის ეშოვა დრო, როცა უკანასკნელი ავათ იყო და გამოეყარა გარეთ ნივთები, რაიც შეუძლია დაადასტუროს იმავე სახლის კომიტეტის თავმჯდომარემ.

ახლა ვეკითხები პროკურორ ტატიშვილს—რით ხელმძღვანელობს ის, როდესაც თავის ტელეფონოგრამას გზავნიდა?

ლუკა ლორია.

## ს.-დ. პარტიაში

**გურიანთა** (გურია). 14 აგვისტოს შესდგა გურიანთის რაიონული კრება. ხალხთ ალრიცხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის წევრი ამხ. დიომიდე ვაშალომიძე და უთვალისწინებს კრებას ყოველივეს, რაც უკამათოდ დაამტკიცა კრებამ. მკ თხველთა ორგანიზაციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. ჩანჩიბაძე, რაც დიდ საჭიროდ სცნო კრებამ და დაავალა ახალ კოლექტივს ტექნიკურად მოწყობა. მთელ რაიონში კოლექტივის მუშაობის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს კრების თავმჯდომარე და აცნობს რაიონულ კრებას, თუ რა გააკეთა კოლექტივმა ხუთი თვის განმავლობაში და როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა. რაიონული კრება კოლექტივის მუშაობით კმაყოფილი დარჩა და მადლობა გამოუცხადა. ამ მოხსენებების შემდეგ რაიონული კრება ეხება კერძო კითხვებს და გადადის ახალ არჩევნებზე ფარული კენჭის ყრით. გურიის ცენტრალური კომიტეტის წევრად არჩეულია ალექსანდრე კვერღელაძე და ერემი ზაქარიაძე. კოლექტივის წევრებად: მოსე მალაზონია, ნიკოლოზ სურგულაძე, კოწია ქლენტი, ვასილ ჩიკაშუა, ლადიმე მჟავია, ლადიკო ტოლურაძე, ქრისტეფორე კვერღელიძე, არსენ დობორჯგინიძე, კამანდო დობორჯგინიძე, ივთანდილ ჩხარტიშვილი, ჯიმშეთი ზაქარიაძე.

ა. გაიანესშვილი.

**შორაპანი**. 24 ივლისიდან სად. შორაპანში დაარსდა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია ზესტაფონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარმომადგენლების ხელმძღვანელობით. ორგანიზაციაში შედის 25 წევრამდე. ამ რიცხვში შედიან, როგორც რკინის გზის მოსამსახურეები, ისე მოწაფეებიც. ორგანიზაციამ აირჩია კოლექტივი, შემდგარი 6 კაცისაგან. არის არჩეული წარმომადგენლები ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ კოლექტივში და ზესტაფონის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციაში. ორგანიზაციამ გადსდგა პრაქტიკული ნაბიჯები და შეუდგა სისტემატიურ მეცადინეობას ამხ. გალაქტიონ კაპანაძის და კამლაძის ხელმძღვანელობით.

მეცადინეობა არის კვირაში ორჯერ ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

რკინის გზისპირელი.

## მუშათა შორის

**თფილისი**. 1 ენკენისთვეს, პირველ სამხედრო საგარნიზონო პურის საცხობში შესდგა მუშების კრება. დაესწრო 30 კაცი. თავმჯდომარედ იქნა არჩეული ნ. აგლაძე, მდივნად ქ. კაციტაძე. კრებამ იმსჯელა ჯამაგირების მომატების შესახებ. ერთხმად გადასწყვიტეს: 1) გატარებულ იქნეს ის მოთხოვნილებანი, რომელიც დაამტკიცა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებისთვის სატარიფო პალატამ. 2) მუშები მოვითხოვთ, რომ გააუჯობესონ პურის საცხობის „ფეჩები“ და „ფარსუნკები“, რომელთა მოუწყობლობით პური დაბალი ხარისხის გამოდის და ამის ბრალი მუშებს ედება, ეთხოვოს ადმინისტრაციას ყურადღება მიაქციოს ზემოხსენებულ მოთხოვნილებებს.

მ. ისაკაძე.

## პროვინცია

**ქ. სამტრედია**. 31 აგვისტოს შესდგა სამტრედიის ოლქის სახალხო გვარდიის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ს. სულაბერიძე, მდივნათ ს. კოხრეიძე. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება პოლიტიკურ მომენტზე, 2) მოხსენება საოლქო შტაბიდან, 3) მოხსენება სარევიზიო კომისიის და საოლქო შტაბის არჩევნები.

პოლიტიკურ მომენტზე მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა ისიდორე რამიშვილმა, რომლითაც კრება ძლიერ დაკმაყოფილდა. მომხსენებელს ხშირათ ოვაციებს უმართავდნენ.

საოლქო შტაბის სახელით მოხსენება გააკეთა შტაბის თავმჯდომარემ ს. ნინუამ, რომელმაც მოკლეთ გააცნო წარსული მოქმედება შტაბის. სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ, კრება შეუდგა არჩევნებს. წინაწარ არჩეულმა სარეკომენდაციო კომისიამ წარმოუდგინა კრებას 22 კანდიდატი, რომლებიდანაც ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა შემდეგი პირები: საოლქო შტაბის წევრებათ 1) ვ. კორძაია, 2) ს. ნინუა, 3) ელ. მელაძე, 4) გ. დუნდუა, 5) ევ. გეგია, 6) ა. სტურუა, 7) ს. ნადირაძე, 8) ა. ჭანტურია, 9) ს. ნიკურაძე, 10) ს. კოხრეიძე, 11) გ. ბერიძე, 12) ს. სულაბერიძე, 13) პ. შუბლაძე, 14) ვ. სირბილაძე და 15) ო. თოფურიძე. ამათი კანდიდატებათ: 1) მეძმარიაშვილი, 2) ი. ფოცხვერია და 3) ს. მსხრიკაძე.

დამსწრე.

**ქიათურა**. შორაპნის მაზრაში დღემდე მარტო ყვირილაში არსებობდა სახალხო გვარდიის შტაბი და მას გარშემო იყრიდა თავს მაზრის ყველა ძალები. საქმის გასაფართოვებლათ გადაწყდა სარაიონო შტაბის დაარსება ქიათურაშიც, რაც უკვე ფაქტია. ქიათურის შტაბი ჯერ ერთი თვე არაა, რაც დაარსდა და მან უკვე სამასი კაცი შემოიკრიბა გარშემო. შაბათს, 30 აგვისტოს მან ფრონტზე გაგზავნა რაზმი იქ მყოფ ყვირილელების გამოსაცვლელათ (მოთხოვნილზე მეტი იყო მსურველი, მაგრამ ბევრს ჯერ-ჯერობით უარი ეთქვა).

გვარდიის გამგზავრებამ სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. დეპოდან ამოვიდა გვარდიელები სამხედრო ორკესტრით. გვარდიამ ქალაქში გაიარა მუსიკით და დროშებით და ასე სიმღერით მივიდა სადგურზე, სადაც ხალხის ტაშით კიდევ უფრო აღფრთოვანებულები ჩასხდნენ გამზადებულ ვაგონებში. გვარდიას სიტყვით მიმართეს: შტაბის სახელით ხ. გურულმა, მ. დ. საბჭოს სახელით—გ. ანთელიძემ და ქალაქის სახელით ქალაქის თავმა მოდებაძემ. მათ აღნიშნეს სახალხო გვარდიის ღვაწლი ჩვენი თავისუფლების საქმეში, აღნიშნეს ჩვენი მდგომარეობა და იმედი გამოსთქვეს, რომ გვარდია საერთოდ და ქიათურის გვარდია კერძოთ, პირნათლათ შეასრულებს დიად ისტორიულ მისიას, რაც თითონვე იკისრა. პირველმა ორატორმა გაახსენა გვარდიას ისიც, რომ ქიათურას სასიქადულო წარსული აქვს წითელი რაზმების საქმეში 1905 წლიდანვე და იმედი გამოთქვა, რომ ახალგაზრდები გმირულათ და პატიოსნათ განაგრძობენ უფროს ამხანაგებისაგან შექმნილ ტრადიციას.

დამსწრე.

## ჩვენი ფოსტა

**გორი**. ექიმთა ყრილობის პრეზიდიუმს. თქვენი საპასუხო წერილი ძალიან დაგვიანებულია. თანაც რედაქცია არ იზიარებს წერილის უმთავრეს დებულებებს, ამიტომ ვერ ვბეჭდავთ.

**ს. სამება**. მღვდ. ს. ჩიჩუას სამგლოვიარო განცხადებაში ევგ. ბურჭულაძის ხელით 50 მან. მივიღეთ.

## განცხადებანი


**საქართველოს სამხედრო სასწავლებელი აცხადებს:**

სასწავლებელში შესასვლელათ თხოვნების მიღება გრძელდება 15 სექტემბრამდინ

(2—1)

**საჩუქარი იმას**

ვინც მოიტანს პორთფელს დოკუმენტებით რომელიც დამრჩა 29 [illegible] გან ბორჯომში მიმავალ № 19 მატარებლის მეორე კლასის (№ 2007) [illegible] თფილისი, ჟუკოვსკის ქუჩა № 8 დარჩიაშან ბორჯომში ქორდანიას ქუჩა № 77 (ყოფილი მიხეილოვის ქუჩა). (2—1

**ექიმი გ. მ. მუხაძე.**

დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის ს-ავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 ს. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ა. ი. ქუთათელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ.. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

**დოქტორი მ. გოლდშტეინი.**

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.

თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

**ექიმი ნ. ა. ფაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

**ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**

იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფ. 11—06.

**ექიმი მ. ზ. მზალობლიშვილი**

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

**ექიმი ნ. დ. თურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **მ. ბ. მეხრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X-სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

**ბორჯომში**

პროფ. დოქტ. მედიცინისა **მ. პ. მოხეშვილი**

იღებს ნერვების და შინაგანი ავადმყოფობით სნეულებს. მისამართი: სასტუმრო „მინერალური წყლები“ (Минеральныя воды).

**ექიმი ა. დ. ძაძამია**

სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

**ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებ-და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

**ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-ხახაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

მოსწავლეთათვის სრულ უფლებიანი ქალ-ვაჟთა 8 კლასიანი

**ე. ს. გილანიშვილის გიმნაზია.**

თხოვნები მიიღება: საანბანო მე-2, 3-გან. I, II, III, IV და V კლასებში. გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე 10—1 საათ. ნაძალადევი, ლოტკის ქუჩა 36. (1—1)